

ალუმინის ფანჯრის ბლოკები

2021 წლის პროექტი

ეს ნახაზი ავტორის საკუთრებაა. აკრძალულია მისი გამოყენება, კოპირება ან გავრცელება ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

პროექტის ეტაპი	ტექნიკური პროექტი	
ნახაზის დასახელება	ალუმინის ფანჯრის ბლოკები	
ნახაზის ნომერი	A-M9_11-I_II-1500-02	
მასშტაბი	1:20	
თარიღი	05/2022	
ფორმატი	A2	

შპს "ალფა პროექტი"
ს/კ 412706610
ქ. თბილისი, ზ. ნინოშვილის ქუჩა N201
(+995 32) 2 20 20 20
www.alphaproject.ge

1	ტექნიკური პროექტი	05/2022	
2	ნახატების დამატება	06/2022	

ავტორი		
ხელმძღვანელი		
დამკვეთი		
ტექ. ზედამხედველი		

ინჟინერი	მ.ალფაიძე	
არქიტექტორი	ნ. ჯაფარიძე	
კონსტრუქციები	ა. ალფაიძე	
ელ. ქსელები	ნ. ჯაფარიძე	
სანტექნიკა	ნ. ჯაფარიძე	

1. ტექნიკური პროექტის ნახატების ნაკრები		
2. ნახატები ცვლილებების შეტანის შემდეგ		

შ.პ.ს.
"გეო-ძიება 2013"

“ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ნაკვეთზე ს/კ 01.72.14.008.293. დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გამოკვლევა”

/საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა/



დირექტორი: /გივი ბაშვილი/

ინჟინერ-გეოლოგი: /გურამ ბაშვილი/

თბილისი/2018წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება ——— 3ბვ;
2. ჩასატარებელი კვლევების პროგრამა ——— 4ბვ;
3. შესავალი ——— 5ბვ;
4. გეომორფოლოგია ——— 5ბვ;
5. გეოლოგიური აგებულება ——— 10ბვ;
6. ტექტონიკა ——— 15ბვ;
7. სეისმშროება ——— 17ბვ;
8. ჰიდროგეოლოგია ——— 19ბვ;
9. კლიმატი ——— 22ბვ;
10. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ——— 26ბვ;
11. დასკვნები და რეკომენდაციები ——— 31ბვ;
12. გამოყენებული ლიტერატურა ——— 34ბვ;
13. თიხის საანგარიშო მაჩვენებლები ——— 35ბვ;
14. ცდა კომპრესიაზე ——— 36ბვ;
15. ბრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ——— 37ბვ;
16. ჭაბურღილების სვეტები ——— 38ბვ;
17. გეოლოგიური ჭრილები ——— 78ბვ;
18. ჭაბურღილების განლაგების სქემა ——— 79ბვ;
19. ტოპოგეგმა ——— 88ბვ;
20. შენობების განლაგების სქემა ——— 89ბვ;
21. ფოტომასალა ——— 90ბვ;

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. ობიექტის დასახელება: – დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და სასტუმროს მშენებლობა;
2. დამკვეთი: – შ.პ.ს. "რივერსაიდ დიღომი;
3. ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.72.14.008.293.);
4. დაპროექტების სტადია: – სამუშაო დოკუმენტაცია;
5. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: – II;
6. ობიექტის ტექნიკური დახასიათება:
   სართულიანობა: – ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი (-1 პარკინგის სართულით) და სასტუმრო;
   კონფიგურაცია: – მართკუთხა და სასტუმრო, რომლის კონფიგურაციაც ამ მომემტისათვის უცნობია;
   გაბარიტული ზომები: – 54.8*37.2*18.9მ.
7. საძირკვლის სავარაუდო ტიპი: – ხიმინჯოვანი;
8. შენობის ტიპი: – რკინა-ბეტონის კარკასი, ბლოკების და მინის ვიტრაჟის შევსებით;
9. ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შენობების დაფუძნების პირობების შესწავლის მიზნით;
10. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას ორ ეგზემპლარად, + ელექტრონული ვერსია.

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი:

ჩასატარებელი კვლევების პროგრამა

წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის), პ.ნ. 02.01-08 (შენობა-ნაგებობების ფუძეები), პ.ნ. 01.01.09 (სეისმომედეგი მშენებლობა), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები) ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), სახ-სტანდარტი 25100-95 (გრუნტების კლასიფიკაცია) და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა საფუძველზე.

<u>ჩასატარებელი კვლევების მიზანი:</u>

- დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შეფასება;

<u>დასახული ამოცანის შესასრულებლად უნდა შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:</u>

- სამშენებლო მოედანზე უნდა გაიბურღოს სათანადო სიღრმის (7.0-15.0მ.) დაახლოებით 30 ჭაბურღილი, არსებული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით – საერთო სიგრძით 270-300გრძ/მ;
- ბურღვა შესრულდეს მექანიკურ-სვეტური მეთოდით, არანაკლებ 108მმ-ის დიამეტრით, მშრალი ბურღვის წესით, კერნის სრული ამოღებით;
- სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნას და ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეულ იქნას არანაკლებ 10 ნიმუში;
- გრუნტის წყლის გამოვლენის შემთხვევაში აღებულ იქნას წყლის სინჯი;

დირექტორი, გეოლოგიის აკადემიური დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი:

შესავალი

2018 წლის ზაფხულში, შ.პ.ს. "რივერსაიდ დიღომი"-ს დაკვეთის საფუძველზე, შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"-ის გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მისამართზე:

- ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიწის ნაკვეთი ს/კ 01.72.14.008.293;
- სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა:
  ინჟინერ-გეოლოგი: გურამ იაშვილი;

⁞ ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

- მოძიებულია და გამოყენებულია საფონდო მასალები;
- უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია და ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაყვანილ იქნა 28 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 280გრძ/მ;
- ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი დანადგარის УРБ2А2 გამოყენებით, მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, 108მმ. დიამეტრის ბურღით;
- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა 71 ნიმუში;
- ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეული იქნა 4 ნიმუში;
- საკვლევ ობიექტზე გრუნტის წყალი არ გამოვლინდა;
- საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით;
- გრუნტების თვისებები განსაზღვრული იქნა ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებაზე;
- განსაზღვრული იქნა:
  1. გრუნტის ტიპი:
  2. ფიზიკური თვისებები;
  3. მექანიკური მახასიათებლები;

⁞ წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შედგენილია:

– სავლე სამუშაოების, ლაბორატორიული კვლევების, ლიტერატურული წყაროების და საფონდო მასალების მონაცემების საფუძველზე;
– საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად:
  - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – "საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
  - პ.ნ. 02.01-08 – "შენობა-ნაგებობების ფუძეები";
  - პ.ნ. 01.01.09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
  - პ.ნ. 01.05-08 – "სამშენებლო კლიმატოლოგია";
  - ს.ნ და წ. IV-5-82 – "მიწის სამუშაოები";
  - ს.ნ. და წ. 02.01-87 – "მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
  - სახსტანდარტი 25100-95 – "გრუნტების კლასიფიკაცია";
  - სან. წ. და ნ. 1.1.001-03 – "საქ. სანიტარული ნორმები და წესები";

⁞ მიღებული შედეგები წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილი ანგარიშის სახით, სადაც გარდა ტექსტური ნაწილისა, მოცემულია:

- გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგები;
- გეოლოგიური ჭრილები;
- ლითოლოგიური სვეტები;
- ჭაბურღილების განლაგების სქემა;
- ტოპოგეგმა;
- შენობების განლაგების სქემა;
- ფოტომასალა;

ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგია – საკვლევი ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 435მ-ზე.

ტერიტორია მდ. მტკვრის ხეობაშია მოქცეული. ის წარმოადგენს მორფოსტრუქტურული ბუნების მთა-ხეობათა ტიპის ქვაბულს, რომლის მორფოლოგიური თავისებურებები ყალიბდებოდა ხანგრძლივი გეოლოგიური პერიოდის მანძილზე, ორი მსხვილი ტექტონიკური ერთეულის მცირე კავკასიონის (აჭარა-თრიალეთის ქედი) და საქართველოს ბელტის განვითარების ფონზე.

საკვლევი ობიექტი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოიცავს ჭალის დაბალი და ჭალისზედა ორი ცოკოლური ტერასის ტერიტორიას. ეს ტერასები გამომუშავებულია ხევძმარი-დიღომის სახელწოდებით ცნობილი სინკლინის მულდის ამგები ოლიგოცენ-ქვედამიოცენური ასაკის ძლიერ დისლოცირებული დანაწევრებული და გადარეცხილი, ადვილად ეროზირებადი, დანალექი ქანების სუბსტრატზე.

ამგები ქანების ბუნებრივი გამოსავლები მაღალი II ჭალისზედა ტერასის საფეხურის ზედაპირზე ლოკალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მდინარის ჭალის კალაპოტში მათი გამოსავლები ვიწრო ზოლის სახით მნიშვნელოვან ფართობზე არის გაშიშვლებული, ქვედა მიოცენური სისტემის საყარაულოს (N11sc) და კოწახურის (N11cz) იარუსების ამგები ნალექების (არგილიტების და ქვიშაქვების) სახით.

აღნიშნულ ნალექებში გამომუშავებული ცოკოლური ტერასების სუბსტრატზე დალექილია საკმაოდ მძლავრი, ალუვიური გენეზისის კენჭნარ-კაჭაროვანი, ქვიშნართიხნარ-ქვიშიან შემავსებლიანი ნალექები.

საკვლევი ობიქტის ფარგლებში ტერიტორიის ამგები ცოკოლური ჭალის დაბალი და ჭალისზედა I და II ტერასები მორფოლოგიურად მკვეთრად არის გამოხატული, II ტერასის რელიეფი ბოლო წლების განმავლობაში ხელოვნურად იქნა ამაღლებული დიდი რაოდენობის ტექნოგენური გრუნტის დაყრის შედეგად, ხოლო I ტერასა თითქმის ინარჩუნებს პირველქმნილ იერსახეს.

ამ ფართობის უდიდესი ნაწილი I ჭალისზედა ტერასის ზედაპირს წარმოადგენს. ტერასის ზედაპირის შეფარდებითი სიმაღლე მდინარის ზედაპირიდან 56მ-ს შეადგენს. ტერასის ზედაპირი თითქმის ბრტყელი, სწორხაზოვანია და უმნიშვნელოდაა დახრილი სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მდინარის მიმართულებით ზედაპირი თანდათანობით დაბლდება და მდინარის გასწვრივ რელიეფში მკვეთრი გარდატეხით, შეუღლად დახრილი ეროზიული საფეხურით (3-4მ-მდე) გადადის დაბალი ჭალის ტერასაში.

საკვლევი ობიექტის ფაგლებში, I ჭალისზედა ტერასის ზედაპირი ჩრდილოეთიდან ცენტრალური ნაწილის მიმართულებით ფართოვდება, ხოლო ცენტრალური ნაწილიდან ობიექტის სამხრეთი საზღვრის მიმართულებით უმნიშვნელოდ ვიწროვდება. ტერასის სიგრძე 2.8კმ-ია, ხოლო სიგანე 420მ-1020მ-მდე ცვალებადობს.

I ჭალისზედა ტერასის ზედაპირი ძირითადად დაკორდილია ბალახის საფარით, მეჩხერი ბუჩქნარით და ქარსაცავი ხე-მცენარეებით, ხოლო ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში ფარგლებში მეჩხერი ტყის კორომებით. ტერასის ზედაპირი, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ და უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ტექნოგენური ზემოქმედებით ტრანსფორმირებულია (სახეცვლილია). აღმოსავლეთ ნაწილში ინერტული მასალების მოპოვების მიზნით წარმოებული სამუშაოების შედეგად, ტერასის ზედაპირი მნიშვნელოვნად სახეცვლილია.

მოპოვებითი სამუშაოების შედეგად მრავალ უბანზე შექმნილია ხაზობრივად გავრცობლი 3-4მ-მდე სიღრმის ხელოვნური ქვაბულები, რომელშიც მდინარის ფილტრატებით წარმოქმნილია ტბორები, ხოლო ქვაბულების იდეების გასწვრივ და მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოქმნილია ე.წ. ტექნოგენური ზვინულები.

ზოგიერთ უბანზე ხელოვნური ქვაბულები ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტებით და საყოფაცხოვრებო ნაგავით არის ამოვსებული. საერთოდ ტექნოგენური გრუნტები საკვლევი უბნისტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებენ.

ტექნოგენური წარმონაქმნების მძლავრი დანაგროვები ყველაზე მეტად ფიქსირდება საკვლევი ობიექტის სამხრეთ ნაწილში. ეს დანაგროვები ქმნის ორ ხელოვნურ ტერასულ ზედაპირს.

I ჭალისზედა ტერასის საფეხურის ძირი მრავალ მონაკვეთზე მდინარის მიერ ინტენსიურად ირეცხება, ვინაიდან ინერტული მასალის მოპოვების მიზნით წარმოებული სამუშაოების შედეგად, ჭალის დაბალი ტერასა ამჟამად აღარ არსებობს და მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი.

რაც შეეხება მეორე ჭალისზედა ტერასას, იგი საკვლევი ობიექტის დასავლეთიდან შემომსაზღვრავია. ამ ტერასის შეფარდებითი სიმაღლე I ჭალისზედა ტერასის ზედაპირთან 10-15მ-მდე მერყეობს. ტერასა გამომუშავებულია ქვედა მიოცენური სისტემის საყარაულოს და კოწახურის იარუსების ამგებ ნალექებში, რომლებიც ზემოდან გადაფარულია ალუვიური გენეზისის სხვადასხვა სიმძლავრის (2-3მ.) მეოთხეული ნალექებით.

არგილიტების და ქვიშაქვების თხელი შუაშრეებიანი საფეხურის ზედაპირი დამრეცად დახრილია, დეფორმირებულია და უმეტესად გადაფარულია დელუვიური გენეზისის არამძლავრი(0-2მ-მდე) ნალექებით, როლებიც საფეხურის ძირის გასწვრივ, რამოდენიმე უბანზე, შლეიფების სახით ფარავენ ალუვიური ნალექებით აგებულ I ჭალისზედა ტერასის ზედაპირს.

II ტერასაზე ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტის სიმძლავრე ზოგიერთ ადგილზე 13მ-ს აღწევს.

გეოლოგიური აგებულება – სამშენებლო მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ქანები პალეოგენიდან დაწყებული მეოთხეულის ჩათვლით.



პალეოგენური ასაკის ნალექები – საკვლევ ტერიტორიაზე მოქცეულია ნეოგენური ნალექების ქვეშ და ზედაპირზე მათი გამოსავლები საკვლევი ობიექტის მიმდებარედ ფიქსირდება, სადაც ეს ნალექები წარმოდგენილია შუა და ზედა ოლიგოცენური წარმონაქმნებით.

აღნიშნული ნალექები თანხმობით ადევს ხადუმის ჰორიზონტს და აგებულია მძლავრი, სქელშრეებრივი ქვიშაქვების დასტებით, რომლებიც მორიგეობენ ქვიშაქვების თხელ შუაშრეებიან თიხებთან და ალევროლიტებთან.

ქვიშაქვები ნაცრისფერია, ქვიშაქვები პოლიმიქტურია, ტუფური ნატეხოვანი მასალა შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენური ნალექების გადარეცხვის პროდუქტია. ცემენტი კარბონატულია, ან თიხიან-კარბონატული.

ალევროლიტები ძირითადად კარბონატულია და მოყვითალო-ნაცრისფერი, ან ნაცრისფერი ტონალობისაა. თიხები, როგორც წესი არაკარბონატულია, მოყვითალომოყავისფრო ფერის, თხელშრეებრივია, ხშირად ფურცელა და თავიანთი ჰაბიტუსით უახლოვდება ტიპიურ მაიკოპურ თიხებს. ზემოთ აღწერილი ნალექების სიმძლავრე ცვალებადობს რამდენიმე მეტრიდან ათეულ მეტრამდე.

ნეოგენური ასაკის წარმონაქმნები – საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია საყარაულოსა და კოწახურის ჰორიზონტებით.

საყარაულოს ჰორიზონტის ნალექები თანხმობით ადევს ზედა ოლიგოცენური ასაკის წარმონაქმნებს, რომლებიც წარმოდგენილია კვარც-არკოზული შემადგენლობის ქვიშაქვებით, თიხების, არგილიტების და მიკროკონგლომერატების შუაშრეებით.

საკვლევ ტერიტორიაზე ჭრილში ქვიშაქვები უხეშმარცვლოვანია, ხოლო აღმოსავლეთით გავრცელებაზე შედარებით წვრილმარცვლოვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური მიმართულებით ქვიშაქვების სიმძლავრეები თანდათანობით კლებულობს, ხოლო თიხების სიმძლავრე კი მატულობს.

საყარაულოს ჰორიზონტის საერთო სიმძლავრე ორმოიანის (დიღმის) სინკლინში 1000-1200მ-ია და თანდათანობით იცვლება კოწახურის ჰორიზონტით.

კოწახურის ჰორიზონტი – საკვლევ ტერიტორიაზე დომინირებენ თხელშრეებირვი მუქი ფერის არაკარბონატული თიხების დასტები. გამოფიტვის ქერქში ისინი ყავისფერი ფურცელა თიხების სახითაა წარმოდგენილი, ხშირ შემთხვევაში გადაფარულია იაროზიტის ყვითელი ფენით. კოწახურის ჰორიზონტში ჭრილში კარგად არის გამოკვეთილი მოთეთრო ფერის უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებისა და ქვიშების თხელი შუაშრეები.

კოწახურის ჰორიზონტის სიმძლავრე ორმოიანის (დიღმის) სინკლინის გულში ცვალებადია და 700-900მ-მდე. ფარგლებში მერყეობს.

მეოთხეული ასაკის ნალექები – საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადი ქანების უმეტესი ნაწილი გადაფარულია თანამედროვე და ზედა მეოთხეული ასაკის, სხვადასხვა მონაკვეთში, დალექვის სხვადასხვა რეჟიმში აკუმულირებული, განსახვავებული ფაციესის მქონე, ალუვიური და დელუვიური გენეზისის ნალექებით, რომლებიც ძლიერ ცვალებადი სიმძლავრით ხასიათდება (1-დან-10მ-მდე). მეტნაკლებად ადრინდელ წარმონაქმნებს წარმოადგენენ მდ. მტკვრის მაღალი ტერასები, რომლებიც საკვლევი ობიექტის გარეთ ვრცელდებიან. შედარებით ახალგაზრდა მეოთხეული წარმონაქმნები კი თითქმის მთლიანად ფარავენ საკვლევი ტერიტორიის ზედაპირს, ასევე გავრცელებულია როგორც მდ. მტკვრის ჭალა-კალაპოტში და გაშლილ ხეობაში. ქვემოთ მოგვყავს ამ ნალექების დახასიათება.

თანამედროვე ალუვიური ნალექები – ტერიტორიაზე გამოიყოფა თანამედროვე ალუვიური ნალექები, რითაც აგებულია მდ. მტკვირის ჭალა-კალაპოტი და I და II ჭალისზედა ტერასები.

ნალექები ძირითადად შედგება დანალექი და ვულკანოგენური ქანების სხვადასხვა პეტროგრაფიული შემადგენლობის, კარგად დამუშავებული კენჭნარის, კაჭარის, ქვიშის, ხრეშის და ქვიშნარისაგან. სიმძლავრე საშუალოდ 2-3მ-დეა (კალაპოტის ზონა).

I ტერასა აგებულია კარგად დამუშავებული კენჭნარით კაჭარის ჩანართებით (15%) და ქვიშა-ხრეშის შემავსებლით (20-25%).

II ტერასაც ანალოგიური ნალექებითაა აგებული, თუმცა მატულობს კაჭარის პროცენტული შემადგენლობა.

დელუვიური გენეზისის ნალექები – საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელების შედარებით ნაკლები მასშტაბურობით გამოირჩევიან და წარმოდგენილი არიან მხოლოდ I და II ტერასულ ზედაპირებს შორის არსებულ საფეხურის ძირში (მეორე ტერასის ძირი) თიხნარების სახით. მათი სიმძლავრეები 2.0მ-ს არ აღემატებიან.

თბილისის მიდამოების გეოლოგიური რუკა



თბილისის მიდამოების გეოლოგიური ჭრილი



1–მეოთხეული დაუნაწევრებელი ალუვიური, დელუვიური და პროლუვიური ნალექები;
2–აღჩაგილ-აფშერონული;
3–მეოტურ-პონტური;
4–ზედა სარმატული;
5–შუა სარმატული;
6–ქვედასარმატული;
7–შუა მიოცენური (დაუნაწევრებელი);
8-ჩოკრაკული;
9–კონკურ-კარაგანული;
10–კონკანური;
11–საყარაულო;
12–ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური (მაიკოპის სერია);
13–ზედა ეოცენური (თბილისის ნუმულიტებიანი წყება);
14–ზედა ეოცენური (ნავთლულის წყება);
15–შუა ეოცენური (აჭარა-თრიალეთის ფაციესი);
16–შუა ეოცენური (თბილისის ოლისტოსტრომები);
17–შუა ეოცენური (დაბახანის წყება);
18–შუა ეოცენური (გამკვეთი ვულკანოგენები);
19–ქვედა ეოცენური;
20–პალეოცენური;
21–პალეოცენური (დანიური);
22 – კამპან-მაასტრიხტული;
23–ზედა ტურონულ-სანტონური;
24–სენომანური;
25–ქვედა ცარცული (დაუნაწევრებელი);
26–ზედა იურული (დაუნაწევრებელი);
27–შუა იურული (ბათური);
28–შუა იურული (ბაიოსური);
29–ჭაბურღილი;
30–ანტიკლინი;
31-სინკლინი;
32–შარიაჟის და შეცოცების ფუძე;

ტექტონიკა – საკვლევი ტერიტორია საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ.) მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე და მიეკუთვნება დიღომი-სართიჭალის ქვეზონას.



ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ამიერკავკასიის მთათაშუა არის ქართლის მოლასური ქვეზონით. ამ ორ ზონას შორის საზღვარს წარმოადგენს მცხეთა-მამკოდა-ნორიო-ხაშმის მსხვილი ნაწევი.

ნაწევის სიბრტყის დაქანება ჩრდილოურია, დახრის კუთხე 60-700. ამ ნაწევის სამხრეთით აღინიშნება ნაოჭა სტრუქტურების მთელი სერია, სინკლინორიუმები, ბრახი ანტიკლინებითა და ანტიკლინორიუმები ბრახი სინკლინებით.

საკუთრივ სამშენებლო მოედანი მოქცეულია ხევძმარი-ორმოიანის სინკლინის გავრცელების არეალში, რომელიც სამხრეთიდან ისაზღვრება ლისის ანუ დიღმის ანტიკლინით, რომელიც მანგლისიდან ვრცელდება ლისის ტბის აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

აღნიშნული ანტიკლინის ძირითადი ნაწილი აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ქვიშაქვიან-თიხიანი წარმონაქმნებით, ხოლო ჩრდილოეთიდან ისაზღვრება მცხეთა-ნორიო-ხაშმის ანტიკლინით, რომელიც ვრცელდება სოფ. ძეგვიდან სოფ. გლდანამდე და სოფ. გლდანიდან სოფ. ხაშმამდე.

ანტიკლინის ღერძული ნაწილი აგებულია ქვედა ოლიგოცენური ასაკის წარმონაქმნებით, ხოლო სამხრეთ ფრთაზე გამოდის ყველა ჰორიზონტი კარაგანულამდე.

ხევძმარი-ორმოიანის სინკლინი, სადაც მოქცეულია სამშენებლო მოედანი, იწყება საკვლევი ობიექტის სამხრეთიდან – მთა ეფრემის კლდიდან და ვრცელდება ავჭალის დასახლებამდე, მოიცავს ხევძმარის ხეობას, ორმოიანის მიდამოებს სოფ. ნორიომდე.

ნაოჭის ფრთები ფართოდ გაშლილი და ასიმეტრიულია, მისი ღერძულა ნაწილი აგებულია მიოცენური ასაკის ნალექებით. ჩრდილო ფრთა შედარებით ციცაბოა, რომლის დახრის კუთხე $70\text{-}75^0$–ია, ზოგ ადგილას გადაბრუნებულია.

სამხრეთი ფრთა შედარებით დამრეცია, დახრის კუთხე $30\text{-}50^0$-მდე. ორივე ფრთა აგებულია ოლიგოცენური და მიოცენური ასაკის წარმონაქმნებით.

სეისმურობა – საკვლევი ტერიტორია (სამშენებლო მოედანი) მდებარეობს ასპინძა-თბილისის მორფოსტრუქტურული ერთეულის ზონაში, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამკვეთი ტექტონიკური რღვევებით.

ზონა განლაგებულია მაღალი სეისმური რისკის არეალში.

საქ. ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია (თბილისი, დიღომი) MSK-64 სკალის შესაბამისად მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას.

სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი – A=0.17;



არსებული სტატისტიკური მონაცემებით, მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

ქ. თბილისსა და მის შემოგარენში 6-7 ბალიანი მიწისძვრები მომხდარა – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002წლებში.

XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების მიხედვით მიწისქვეშა ბიძგების ხანგრძლივობა 2.1-3.6წმ-მდე მერყეობს.

სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებში – 0.17მ/წმ^2-ია.

ტალღების გავრცელების ძირითადი მიმართულება (სუბგანედური) ჩრდილო – დასავლეთ – სამხრეთ – აღმოსავლეთურია.

მიწისძვრებით გამოწვეული გეოდინამიკური ცვლილებები ყველაზე მეტად ტექტონიკურ რღვევებს შორის განლაგებულ მორფოსტრუქტურულ ბლოკებშია გამოხატული, სადაც დღესაც გრძელდება პულსაციური (როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი) მოძრაობები.

სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურის განლაგებაზე, განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მიწისძვრები იწვევს არა მხოლოდ საინჟინრო ნაგებობათა დეფორმაციებს, არამედ როგორც ახალი, ასევე არსებული მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების მნიშვნელოვან ჩასახვა-გააქტიურებას.

- საკვლევ ტერიტორიაზე საპროექტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს საქართველოს შესაბამისი დაპროექტების სტანდარტის, სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა” პ.ნ. 01.01-09 – მოთხოვნების გათვალისწინებით;
- საქ. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009წ. 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი – სამშენებლო ნორმების და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” პ.ნ. 01.01-09 – დამტკიცების შესახებ;

ჰიდროგეოლოგია – საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე 1970წ.) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში. საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

– შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

– მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი;

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებული ნაპრალთა სისტემის სიღრმეზე და ხარისხზე.

ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია მერყეობს 2.5-8.2გ/ლ-მდე. ყველა წყალი თითქმის სულფატურია, კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na.

მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალთა სისტემაში, აქედან გამომდინარე ვეყრდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიან-კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2-5გრ/ლ-მდე. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ გოგირწყალბადს, რომლებიც ცალკეულ ჭაბურღილებში 15მგ/ლ-მდე აღწევს.

საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მინერალური წყაროებს ქიმიური ანალიზიდან ირკვევა, რომ წყაროები თავიანთი ქიმიური შედგენილობით და ერთმანეთისგან განსხვავებულია.



პირობითი აღნიშვნები

ჰიდროგეოლოგიური რეგიონი		ჰიდროგეოლოგიური რაიონი	
I	მთავარი კავკასიონის კრისტალური სუბსტრატის გრუნტის წყლების ზონა		
II	მთავარი კავკასიონის სამხრეთი ფერდის წყალწნევიანი სისტემების ზონა	II_1	აფხაზეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_2	სვანეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_3	მესტია-თიანეთის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		II_4	ყაზბეგ-მთათუშეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_5	კელასურის კრისტალური მასივის გრუნტის ნაპრალური წყლების რაიონი
		II_6	ყელი-ყაზბეგის ლავური განფენების გრუნტის ნაპრალური წყლების რაიონი
III	საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ზონა	III_1	ბზიფის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_2	კოდორის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_3	სამეგრელოს ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_4	რაჭა-ლეჩხუმის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_5	კოლხეთის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_6	გურიის ფოროვანი, ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_7	წყალტუბოს ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_8	არგვეთის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_9	ქართლის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_{10}	ალაზნის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_{11}	იორი-შირაქის ფოროვანი და ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_{12}	მარნეულ-გარდაბნის ფოროვანი და ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_{13}	ძირულის კრისტალური მასივის გრუნტის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
IV	აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ზონა	IV_1	აჭარა-იმერეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		IV_2	თრიალეთის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		IV_3	თბილისის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		IV_4	ახალციხის ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
V	არტვინ-ბოლნისის ბელტის გრუნტის წყლების ზონა	V_1	ახალქალაქის ლავური წარმონაქმნების ნაპრალური გრუნტის წყლების რაიონი
		V_2	ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთი კალთის ნაპრალური გრუნტის წყლების რაიონი

თბილისის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გვხვდება სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი, სულფატურ-კალციუმიან - მაგნიუმიანი შემადგენლობის წყლები. მათი მინერალიზაცია მერყეობს 0.4-0.8გრ/ლ-ის ფარგლებში. წყლის ტემპერატურა ყველა წყაროებში მერყეობს 11-17^0-მდე. მჟავე წყლები არ ფიქსირდება.

მეოთხეულ წარმონაქმნებში მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ფორმირდება ალუვიურ ნალექებში, განსხვავდებიან თავიანთი ქიმიური შედგენილობით, ხასიათდებიან ამაღლებული მინერალიზაციით და სულფატურ-ნატრიუმიან-მაგნიუმიან ტიპს განეკუთვნებიან. მინერალიზაცია მერყეობს 0.4-3.0გრ/ლ-ის ფარგლებში. შედარებით დაბალი მინერალიზაციის 0.4-1.0 გრ/ლ-მდე წყლები, სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანია.

ჩვენს მიერ საკვლევ მოედანზე გაყვანილ იქნა 28 ჭაბურღილი 7.0-15მ-მდე, მათმა საერთო სიგრძემ 280გრძ/მ შეადგინა.

საკვლევ მოედანზე გრუნტის წყალი არც ერთ გაყვანილ ჭაბურღილში არ იქნა გამოვლენილი, რაც შესაძლოა სეზონური გარემოპირობებით იყოს განპირობებული.

საკვლევი უბანი სადაც საცხოვრებელი კომპლექსი უნდა გაშენდეს მდ. მტკვრის კალაპოტიდან დიდი მანძილითაა დაშორებული.

როგორც მდ. მტკვარზე 100 წლიანი დაკვირვების შედეგებიდან ჩანს, საკვლევი ტერიტორია არ ხვდება მდ. მტკვრის სეზონური დატბორვის არეალში, მით უფრო, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ტერიტორიაზე ნაყარი გრუნტის უხვად შემოტანის შედეგად საკვლევი ტერიტორიის რელიეფმა დიდი სახეცვლილება განიცადა.

კლიმატი – საქართველოს ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. ჰავის ნაირგვარობას განსაზღვრავს ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვრებს შორის, მეორე მხრივ კი მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე.

ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები. ადგილობრივ ჰავას ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი.

კავკასიონი საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების უშუალო შემოჭრისაგან, ხოლო შავი ზღვა აზომიერებს ტემპერატურის მერყეობას და ხელს უწყობს ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.



საკვლევი ტერიტორია – **თბილისი, დიღომი** – საქ. ტერიტორიის სამშენებლო-კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით მიეკუთვნება – III კლიმატური რაიონის, III'გ ქვერაიონს;

- საკვლევი არეალის კლიმატური პირობების შეფასებისათვის მონაცემები აღებულია – ს.ნ. და წ. "სამშენებლო კლიმატოლოგია" – პ.ნ. 01.05-08;

დიღმის ჰავას, როგორც ქ. თბილისის მეტეოსადგურის დაკვირვებები გვიჩვენებს, ახასიათებს:

* საშუალო წლიური ტემპერატურა – 12.6^0;
* ტემპერატურის აბს. მინიმუმი – 24^0;
* ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – 40^0;
* ტემპერატურის საშუალო წლიური ამპლიტუდა – 10.0^0;
* ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი – 560მმ;
* ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი – 146მმ;
* ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა – 66%-მდე;

  რაიონში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები.
* მაქსიმალურმა სიჩქარემ შესაძლოა მიაღწიოს – 37მ/წმ-ს;
* ქარის საშუალო სიჩქარე – 2.1მ/წმ;
* თოვლის საფარის წონა 0.50კპა;
* თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;
* გრუნტებისთვის გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0;

- ნიადაგის სეზონური გამყინვარება არ აღინიშნება;
  მშენებლობის წარმოება შესაძლებელია წლის ყველა დროს;

პუნქტების დასახელება, კოორდინატები და სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)

პუნქტების დასახელება	კოორდინატები		სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)
	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	
თბ. აგჭალა	41⁰47'	44⁰48'	448
თბ. აეროპორტი	41⁰41'	44⁰57'	490
თბ. ბოტ.ბაღი	41⁰41'	41⁰49'	534
თბ. გლდანი	41⁰48'	44⁰48'	520
თბ. დიდი დიღომი	41⁰48'	44⁰48'	460
თბ. დიდუბე	41⁰48'	44⁰48'	430
თბ. დიღომი	41⁰48'	44⁰48'	428
თბილისი, ვაკე	41⁰48'	44⁰48'	480
თბ. ვარკეთილი	41⁰48'	44⁰47'	449
თბ. ლილო	41⁰48'	44⁰48'	520
თბ. მთაწმინდა	41⁰42'	44⁰47'	766
თბ. ობსერვატ	41⁰43'	44⁰48'	404
თბ. საბურთალო	41⁰48'	44⁰48'	451
თბ. ფონიჭალა	41⁰48'	44⁰48'	441
თბ. ღრმაღელე	41⁰48'	44⁰48'	525

ატმოსფერული ნალექების ძირითადი მახასიათებლები

პუნქტი	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
თბ. აგჭალა	570	147
თბ. აეროპორტი	540	145
თბ. ბოტ. ბაღი	616	145
თბ. გლდანი	550	147
თბ. დიდი დიღომი	560	146
თბ. დიდუბე	560	146
თბ. დიღომი	560	147
თბ. ვაკე	560	147
თბ. ვარკეთილი	550	143
თბ. ლილო	555	146
თბ. მთაწმინდა	635	154
თბ. ობსერ.	560	147
თბ. საბურთალო	560	147
თბ. ფონიჭალა	550	142
თბ. ღრმაღელე	560	146

ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურა, °C



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბ. აგჭალა	0.6	2.2	5.9	11.4	16.8	20.7	24.1	24.2	19.5	13.8	7.4	2.5	12.4
თბ. აეროპორტი	0.4	1.9	5.7	11.2	16.6	20.5	24	24.1	19.4	13.7	7.3	2.5	12.3
თბ. ბოტ. ბაღი	1.3	2.9	6.8	11.9	17.1	20.6	23.7	23.5	19.3	13.8	7.8	3.1	12.7
თბ. გლდანი	0.1	1.7	5.4	10.9	16.3	20.2	23.6	23.8	19.2	13.2	7.1	2.4	12.0
თბ. დიდი დიღომი	0.8	1.9	6.3	11.7	17.1	21	24	24.8	19.5	13.6	7.5	2.7	12.6
თბ. დიდუბე	0.7	2.4	6.3	11.7	17.1	20.9	24.3	24.4	19.6	13.8	7.5	2.7	12.6
თბ. დიღომი	0.7	2.3	6.2	11.6	17	20.8	24.2	24.4	19.5	13.8	7.4	2.5	12.5
თბ. ვაკე	0.5	2.1	5.9	11.4	16.7	20.6	24.1	24.2	19.4	13.7	7.4	2.5	12.4



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბ. ვარკეთილი	-0.1	1.4	5.1	10.6	15.9	19.8	22.2	22.4	18.8	13.3	6.9	2.2	11.5
თბ. ლილო	0.2	1.7	5.5	11.2	16.5	20.3	23.8	23.9	19.3	13.5	6.9	2.3	12.1
თბ. მთაწმინდა	-0.6	1.6	4.4	9.7	15	18.8	22.1	22.2	17.7	12.3	6.2	1.5	10.9
თბ. ობსერ.	1	2.8	6.7	12.1	17.4	21.1	24.4	24.2	19.6	13.8	7.8	3.1	12.8
თბ. საბურთალო	0.3	1.9	5.6	11.1	16.5	20.4	23.9	24	19.3	13.7	7.2	2.5	12.2
თბ. ფონიჭალა	0.8	2.6	6.5	11.8	17.3	21.1	24.4	24.6	19.6	13.8	7.6	2.8	12.7
თბ. ღრმაღელე	0.1	1.7	5.4	10.9	16.2	20.1	23.6	23.8	19	13.1	7	2.3	11.9

ტემპერატურული მახასიათებლები

პუნქტების დასახელება	წლის საშუალო	აბს. მინიმუმი	აბს. მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო
თბ. ავჭალა	12.4	-24.0	40.0	30.3	-8.0	-11.0	0.7
თბ. აეროპორტი	12.3	-23.0	40.0	30.5	-9.0	-12.0	0.3
თბ. ბოტ.ბაღი	12.8	-22.0	40.0	29.9	-7.0	-10.0	1.2
თბ. გლდანი	12.0	-25.0	40.0	29.9	-8.0	-12.0	0.2
თბ. დიდი დიღომი	12.6	-24.0	40.0	30.0	-8.0	-12.0	0.6
თბ. დიდუბე	12.6	-24.0	40.0	30.0	-8.0	-12.0	0.6
თბ. დიღომი	12.3	-23.0	40.0	30.2	-8.0	-11.0	0.6
თბ. ვაკე	12.4	-23.0	40.0	30.3	-8.0	-11.0	0.7
თბ. ვარკეთილი	11.5	-24.0	40.0	30.0	-9.0	-12.0	-0.1

ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა°C - თვის საშუალო



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თბ. ავჭალა	8	8	10	10.5	11	11.5	11.5	12	11	10.5	8.5	8
თბ. აეროპორტი	7.8	8.1	9.5	10.3	10.6	11.2	11.5	11.7	10.3	9.7	7.8	7.9
თბ. ბოტ. ბაღი	7.8	8.2	9.5	10.2	10.5	11.5	11.5	11.5	10.5	9.5	8	9
თბ. გლდანი	6.5	7	8.2	9.2	9.6	10.7	11.1	11.5	10	9.2	7.2	7
თბ. დიდი დიღომი	7.9	8.1	9.2	10.8	10.9	11.5	11.8	12.1	10.8	10.2	8.2	8
თბ. დიდუბე	8	8.5	10	10.5	11	11.5	11.5	12	11	10.5	9	8
თბ. დიღომი	7.8	8.4	9.5	10.9	11.3	11.8	11.6	11.6	11	10.2	8.9	7.8
თბ. ვაკე	7.9	8.2	9.8	10.5	10	11.5	11.5	12	11	10.5	8.8	8



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თბ. ვარკეთილი	7.8	8.1	9.4	10.5	10.6	11.1	11.5	11.6	10.5	9.7	7.9	7.9
თბ. ლილო	7	7.8	9	10	10.2	10.9	11.5	11.5	10	9.2	7.5	7
თბ. მთაწმინდა	6.1	6.9	8.2	9.1	9.5	10.3	10.8	10.4	9	8	6.4	6.1
თბ. ობსერ.	7.9	8.1	9.8	10.5	11.1	11.5	11.7	12.1	11.1	10.5	8.7	7.9
თბ. საბურთალო	7.9	8.2	10	10.5	10.6	11.1	11.5	11.6	10.5	9.7	7.9	8
თბ. ფონიჭალა	7.9	8.2	9.8	10.5	11.1	11.5	11.6	12	11	10.5	8.8	8
თბ. ღრმაღელე	6.5	7	8.2	9.2	9.6	10.7	11.1	11.5	10	9.2	7.2	7

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

/სპეციალური ნაწილი/

ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიის გამოკვლევისას გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი ($_tQ_{IV}$);
2. ს.გ.ე. I – ქვიშა – საშუალომარცვლოვანი, მშრალი ($al Q_{IV}$);
3. ს.გ.ე. II – თიხა – ნახევრად მაგარი, ყავისფერი ($dp Q_{IV}$);
4. ს.გ.ე. III – კენჭნარი – ქვიშის შემავსებლით ($al Q_{IV}$);
5. ს.გ.ე. IV – ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა (P_2^3);

ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი – გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე, წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით.

ნაყარი გრუნტი არათანაბრადაა გადანაწილებული, საკვლევი უბნის სამხრეთ ნაწილში მისი სიმძლავრე 1.3-4.6მ-მდე მერყეობს, შუა ნაწილში 8მ-ს აღწევს, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში 12მ-ს, ზოგიერთ ადგილზე 13მ-ს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ მტკვრის II ტერასამ, სადაც საკვლევი უბანია განთავსებული სახე იცვალა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უბანზე ნაყარი გრუნტის დაყრის შედეგად. მისი აბსოლუტური ნიშნული 2011-2012 წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა (გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრ. №1-ში).

ცხრილი №1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომ. ერთეული	ნაყარი გრუნტი
1	სიმკვრივე	P	გ/სმ³	1.8
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	P_d	გ/სმ³	1.5
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	P_s	გ/სმ³	2.7
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	20
5	ფორიანობა	n	%	44
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.8
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ.	0.32
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_P	ერთ.ნაწ.	0.18
9	პლასტიკურობის რიცხვი	I_P	ერთ.ნაწ.	0.14
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ.ნაწ.	0.14
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.68
12	საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ2	0.8

გრუნტების მახასიათებლები აღებულია ს.ნ. და წ. 2.02.01-83-ის ცხრილებიდან და საცნობარო ლიტერატურიდან:

* გრუნტის სიმკვრივე – 1.8ტ/მ^3;
* ხახუნის კუთხე – 18^0;
* ხვედრითი შეჭიდულობა C=0.1კგძ/სმ^2;
* დეფორმაციის მოდული E=50კგძ/სმ^2;
* საანგარიშო წინაღობა R_0=0.8კგძ/სმ^2;
  - დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II კატეგორიას;

ს.გ.ე. I – ძვიშა – საშუალომარცვლოვანი, მშრალი – ქვიშის 1-1.5-მდე სიმძლავრის ფენა წარმოდგენილია სამშენებლო მოედნის გეოლოგიური ჭრილის ქვედა ჰორიზონტში, ბუნებრივ ზედაპირზე, იქ სადაც არ გვხვდება ხელოვნური გრუნტები ნაყარისა და გადაადგილებული ბუნებრივი გრუნტების სახით.

გენეტიკურად ზედაპირზე წარმოდგენილი ქვიშა ალუვიურია.

ჭაბურღილში ქვიშა გამოიყოფა 50სმ. სიზრქის ორი შრით – 1.3მ. და 7.0მ. სიღრმეებზე, სადაც ქვიშის გრანულომეტრიულ შედგენილობაში მსხვილ მარცვლოვანი ფრაქცია (>2მმ.) იკავებს 2%-მდე, ქვიშის – 68-77%, მტვრისებური – 13-25%, ხოლო თიხური – 5-10%.

გრუნტი ხასიათდება ფხვიერი სტრუქტურით, სიმკვრივით – 1.60გ/სმ^3 და ფილტრაციის კოეფიციენტით – 15-30მ-მდე დღე ღამეში.

განზოგადებული მონაცემებით მისი დეფორმაციის მოდული (E-0.1მპა) უტოლდება 400, ხოლო საანგარიშო წინაღობა (R_0-0.1მპა) 3.0-4.0.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავების ჯგუფს, საშ. სიმკვრივე 1600კგ/სმ^3 (რიგ. 27ბ).

იმის გამო, რომ ქვიშის ფენა ზედაპირზე თხელია და არ გამოირჩევა დამაკმაყოფილებელი საინჟინრო-გეოლოგიური თვისებებით იგი ნაგებობების დაფუძნების სუბიექტად არ განიხილება.

ს.გ.ე. II – თიხა – ნახევრად მაგარი, ყავისფერი – თიხური ქანების საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტში გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგად გამოყო. მთლიანობაში თიხა შეადგენს ჭრილის მცირე ნაწილს. შეიცავს წვრილი კენჭების ჩანართებს.

ქანები დაფიქსირებულია №11 და №12 ჭაბურღილებში 8.0-12.0მ. სიღრმის ინტერვალში. თიხები გამოირჩევიან ლოკალური გავრცელებით და საკვლევ უბანზე შუაშრეების და ლინზების სახით არიან გავრცელებული.

აღნიშნული ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოყვანილია დანართში.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ს.გ.ე. III – კენჭნარი – სხვადასხვა ფრაქციის (ჭარბობს მსხვილი და საშუალო ფრაქცია) კაჭარით 30%-მდე და ქვიშის შემავსებლით 20%-მდე.

ფენა გავრცელებულია საკვლევი ტერიტორიის მთელ ფართზე და წარმოდგენილია მდ. მტკვრის I (აბს. ნიშ. 424მ-დან) და II ტერასულ საფეხურებზე (აბს. ნიშ. 434 მ-ზე).

იგი გახსნილია თითქმის ყველა ჭაბურღილში, ფენის სიმძლავრე ზოგიერთ ადგილზე 4.0მ-ს აღემატება, თუმცა ძირითადად 1.0-2.0მ. ინტერვალში მერყეობს, იმის გამო, რომ ამ უბნებზე ფუნქციონირებდა ინერტული მასალების კარიერები, რის გამოც კენჭნარის სიმძლავრე ხელოვნურადაა შემცირებული.

კენჭნარი წარმოდგენილია კარგად დამუშავებული და დახარისხებული კენჭებით, სადაც გვხვდება კაჭარის ჩანართები, ხოლო შემავსებლად ქვიშა გვევლინება. კენჭები უმეტესად საშუალო და დიდი ზომისაა. ჭარბობს 5-20სმ. ფრაქციის კენჭები, ხოლო კაჭარი 15-30%-ს არ აჭარბებს.

პეტროგრაფიული შემადგენლობის მიხევით მასალა განსხვავებულია. უფრო ხშირად გვხვდება ქვიშაქვები და სხვა დანალექი ქანები. მათ გარდა ფართოდ არის წარმოდგენილი მაგმური, უმეტესად მუქი ფერის ქანების კენჭები. ცალკეული უბნებზე კენჭნარი ბუნებრივად შემკვრივებულია და ქვიშიან შემავსებელთან ერთობლიობაში ქმნის საკმაოდ მაღალი სიმკვრივის ფენას.

სველე პირობებში გრუნტის გრანულომეტრიული შემადგენლობა, განისაზღვრა გაცხრილვის მეთოდით(შედეგებიც მოცემულია ცხრ.№2-ში).

ცხრილი №2

ჭაბურღილის №	ქვების სიღრმე	ფრაქციის ზომა (მმ)					
		>100	100-50	50-20	20-2	2-0.5	0.5-0.005
4	5.0	0	25	35	17	12	11
8	11.0	10	19	31	15	13	12

ს.ნ. და წ. 2.02.01-83 პუნქტი 2.16 თანახმად – I, II და III კლასის ნაგებობების ფუძე-საძირკვლების გაანგარიშებისათვის დასაშვებია გრუნტის სიმტკიცითი და დეფორმაციული მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობის განსაზღვრა მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით.

გრუნტის მახასიათებლები აღებულია ს.ნ. და წ. 2.02.01-83-ის დანართების ცხრილებთან შეჯერებული ლაბორატორიული მონაცემებიდან, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ:

* შინაგანი ხახუნის კუთხე – 40^0;
* ხვედრითი შეჭიდულობა – $C=0.01კგძ/სმ^2$;
* დეფორმაციის მოდული – $E=400კგძ/სმ^2$;
* საანგარიშო წინაღობა – $R_0=6კგძ/სმ$;
  - დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება III კატეგორიას;

ს.გ.ე. IV – ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – მოედნის შემდეგი ფენა წარმოდგენილია ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით.

ქვიშაქვები ღია ნაცრისფერი, ტუფოგენური, თიხოვან ცემენტზე, საშუალო და თხელშრეებრივი, გეოლოგიურ ჭრილში ქვიშაქვებისა და არგილიტების შეფარდება 60:40-ზეა. ჭრილის ზედა ნაწილში ისინი ძლიერ გამოფიტულები არიან. არგილიტები მოწითალო ფერით ხასიათდებიან. ლითოლოგიურად ისინი თიხებს წარმოადგენენ, რომლებმაც განიცადეს სახეცვლილება და მიიღეს ფიქლების სახე დიდი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში. მათი ზედა ნაწილი გამოფიტულია და ხასიათდებიან თხელშრეობრიობით.

ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – უბანზე გავრცელებულია 4.8მ-დან, ფენის ზედა ნაწილი 0.3-0.5მ. ძლიერ არის გამოფიტული. ამ ინტერვალში ნიმუშის აღება დაუშლელი სტრუქტურის შენარჩუნებით, შეუძლებელია.

ფენის სიმტკიცის დასახასიათებლად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ლიტერატურული მასალა, კერძოდ, მკვლევარ გ. ჯაფარიძის მონოგრაფია "ქალაქ თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები" და ამ ფენის პირობით წინაღობას ვიღებთ: R_0=3კგძ/სმ²;

ქვიშაქვები წვრილმარცვლოვანია, მათი სიმკვრივე ბუნებრივი ტენიანობის (0.08-4.2) და ფორიანობის (0.10-11.3) გარემოში მერყეობს 2.43-2.65გ/სმ³ ფარგლებში. ფორიანობის ზრდასთან ერთად (4.1-11.3) შესაბამისად მატულობს წყალშთანთქმის მაჩვენებელი – 2.07-4.67-მდე. ქვიშაქვების სიმტკიცე ბუნებრივ გარემოში მერყეობს – 33.8-121.8მპა-ის საზღვრებში. თუმცა, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში თიხური ფაციესით ცემენტაციდან და თვისებებიდან გამომდინარე მათი წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე ეცემა – 47.9-23.4 მპა-მდე.

ქანი დარბილებადია – დარბილების კოეფიციენტის რიცხვითი მაჩვენებლები არ აღემატება 0.69-ს. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ასევე ეცემა საერთო დეფორმაციის მოდული (E-0.1მპა) - 2600-8640. წყალგაჯერებულ მდგომარეობაში დრეკადობის მოდულის (5320-21600 მპა) და პუასონის კოეფიციენტის მაჩვენებლების მიხედვით (μ-0.29-0.41) ქანი ხასიათდება მომატებული მაჩვენებლით.

ძვრაზე სიმტკიცის მაჩვენებლების დიაპაზონი შეჭიდულობის ძალა C(0.1მპა) – 3.12-17.53 და შიგა ხახუნის კუთხე (φ-35011-44091) ქანი ექცევა საშუალო სიმტკიცის ქვიშაქვების ნორმატიული მაჩვენებლების დიაპაზონში.

➲ **ს.გ.ე. IV – ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა** – საიმედო გრუნტია ნაგებობების დაფუძნებისათვის.

1. ადმინისტრაციულად სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისში. მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 435მ-ზე;

2. ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მცირედ დახრილ ადგილს, ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით.
   - რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას და ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის;

3. საქ. ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე – 2000წ.) სამშენებლო მოედანი მდებარეობს მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე და მიეკუთვნება დიღომი-სართიჭალის ქვეზონას;

4. საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე – 1970წ.) სამშენებლო მოედანი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისის წყალწნევიანი ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში;

